ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 110

ქალაქი ქუთაისი 26 სექტემბერი 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №826 - №833 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 26 სექტემბრის
№110 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
826	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გრიგოლ აბაშიძის ქუჩა №3-ის ჩრდილოეთით	50	03.06.25.614
827	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №40-ის აღმოსავლეთით	100	03.01.21.583
828	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №95-ის სამხრეთით	100	03.05.28.130
829	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №47ა-ს ჩრდილოეთით	23	03.05.28.131
830	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩის VII ჩიხი, №1-ის სამხრეთით	100	03.05.23.598
831	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №40ა-ს დასავლეთით	80	03.05.22.722
832	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11-ის სამხრეთით	165	03.06.23.322
833	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №59-ის სამხრეთით	103	03.05.28.132

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია